

ჯანდაცვის სათემო დაფინანსების მოდელი (ჯსდმ)

ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს ჯანდაცვის სფეროს არასაკმარის დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან. მოსახლეობის უმრავლესობას (განსაკუთრებით კი სოფლის მცხოვრებლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს) ფინანსური ბარიერების გამო ხელი არ მიუწვდება აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე. ავადყოფის მკურნალობაზე ოჯახის მიერ გაწეული ოფიციალური თუ არაოფიციალური ხარჯები და შეძენილი მედიკამენტების საფასური ხშირ შემთხვევაში ბევრად აღემატება ოჯახის საშუალო შემოსავალს.

ამიტომ, ბაზისური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აუცილებელი ხდება ჯანდაცვის დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიება და მათი დანერგვა.

ერთ-ერთი ასეთი მოდელია თემის ხელშეწყობით მიმდინარე ჯანდაცვის დაფინანსების სქემა.

რას გულისხმობს სამედიცინო მომსახურების დაფინანსების სათემო მოდელი?

ჯანდაცვის სათემო დაფინანსების მოდელი არის მცირე მასშტაბის სამედიცინო სადაზღვევო სქემა რომელიც ხელმისაწვდომია მცირე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის. სქემის ფუნქციონირება ეფუძნება ურთირთდახმარებისა და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ურთიერგადანაწილების პრინციპს და მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჯსდ სქემის მიზანი არ არის კომერციული მოგება.

ჯანდაცვის სათემო დაფინანსების ძირითადი მახასიათებელია სქემაში გაწვევრიანებულ პირთა აქტიური მონაწილეობა სქემის მართვაში, სახსრების მოზიდვისა და განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, აგრეთვე საქმიანობის საერთო ზედამხედველობაში.

ჯსდ სქემის ამოცანებია:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების, ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი მდგრადი, გრძელვადიანი უზრუნველყოფა;
- თანასწორობა და სამართლიანობა სამედიცინო მომსახურების მიღებისას;

- ადმინისტრაციული ეფექტურობის გაზრდა;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და პაციენტთა კმაყოფილების ზრდა.

რა სახის სამედიცინო მომსახურებას მოიცავს სქემა?

- ექიმის კონსულტაციებს პირველადი ჯანდაცვის პუნქტებში;
- ექიმის მიერ დანიშნული (ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში) მედიკამენტების მიწოდებას პაციენტთათვის;
- საექთნო მომსახურებას პირველადი ჯანდაცვის პუნქტებში;

პროექტის ფარგლებში ხდება სამედიცინო პუნქტების გარემონტება და აღჭურვა. ასევე ხდება სქემის წევრების სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები და მედიკამენტების უფასოდ გაცემა დასმული დიაგნოზის საფუძველზე.

როგორ წარმოებს სქემაში ბაჭყალიანება

სქემაში გაწვევრიანება ნებაყოფილობითა და წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (დანართში ჩამოთვლილია ის სამედიცინო პუნქტები, სადაც ჯსდ ს ქემა ა მუამად მ ოქმედებს). ს ქემაში გაწვევრიანების ს ურვილის შემთხვევაში სოფლის მაცხოვრებლებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ მათივე სოფლის სამედიცინო პუნქტში. აქვე ხდება ყოველთვიური საწვერო შესატანის გადახდა და შესაბამისად, საჭირო სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების მიღება სოფლის ან იძულებით ადგილნაცვალ პირთა კომპაქტური დასახლების სამედიცინო პუნქტის მედპერსონალისაგან.

სქემაში გაწვევრიანების ერთეულია ოჯახი (შინამეურნეობა). ოჯახი იხდის ერთ საწვერო შენატანს, რის საფუძველზეც სამედიცინო მომსახურებას იღებს მისი ყველა წევრი. გაწვევრიანებული ოჯახის წევრებს სქემის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ სქემაში გაწვევრიანებიდან ერთი თვის (30 დღის) გასვლის შემდეგ.

“ოქსფამის” მხარდაჭერით დაფუძნებული ჯსდ სქემა ზუგდიდის რაიონის 23 სოფელში და იძულებით გადაადგილებილ პირთა 4 კომპაქტურ დასახლებაში მოქმედებს 2001 წლიდან, აჭარაში კი 2005 წლიდან. განსაკუთრებით წარმატებულია სქემის მუშაობა იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობამ სამედიცინო პერსონალის აქტიური მუშაობის შედეგად კარგად დაინახა ის სარგებელი, რაც მათ შეიძლება ჯანდაცვის სათემო დაფინანსების სქემიდან მიიღონ.

შენატანის ოდენობა

საწვერო შენატანი, ანუ ერთი ოჯახის მიერ გადახდილი ყოველთვიური თანხა ფიქსირებულია (მიუხედავად ოჯახის სიდიდისა) და ამჟამად შეადგენს 2 ლარს. შენატანის გადახდა შეიძლება მოხდეს სამი გზით:

- რამდენიმე თვის შენატანის წინასწარი გადახდა (წინასწარ დაფარული თვეების რაოდენობა შეზღუდული არ არის);
- გადახდა ყოველთვიურად;
- წინა თვის დავალიანების გადახდა, თუ დაგვიანება არ აღემატება ერთ თვეს. თუ ოჯახი არ გადაიხდის შენატანს ერთ თვეზე (4 კვირა) ხანგძლივი დროის განმავლობაში, ის ავტომატურად გამოეთიშება სქემას. ამ შემთხვევაში უკვე გადახდილი თანხა ოჯახს არ უბრუნდება. თუ ოჯახი ხელახლა მოისურვებს გაწვევრიანებას, მან უნდა დაიცვას იგივე პირობები, რაც პირველად გაწვევრიანების შემთხვევაში.

სქემის დაფინანსება და თანადაფინანსება

ჯსდ სქემით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ფარავს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია “ოქსფამი”. სქემის შემოსავლის ნაწილს წარმოადგენს საწვეროებით შემოსული თანხა, თუმცა გარეშე დაფინანსების შეწყვეტამდე მისი ხარჯვა არ ხდება.

“ოქსფამის” მიერ დაფინანსებულ პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია “ველფეარ ფაუნდემენი” ორ ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. ესენია “თემის მხარდაჭერის ცენტრი” (ზუგდიდი) და “სთეფ-ფორვარდი” (ბათუმი). ეს ორგანიზაციები ეძებენ შესაძლო წყაროებს სქემის თანადაფინანსებისათვის. ასეთი წყაროები შეიძლება იყოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, საერთაშორისო დონორის ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და ა.შ. ჯსდ სქემის ხელშეწყობა დადებით ეფექტს იქონიებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაზე, ასევე გაზრდის თანადაფინანსებაში ჩართული ორგანიზაციების ავტორიტეტს ადგილობრივ მოსახლეობაში.

სამედიცინო მომსახურების მომწოდებელთა ანაზღაურების გეგმიანი გეგმა

სოფლის სამედიცინო პუნქტის სამედიცინო პერსონალი იღებს წამახალისებელ ანაზღაურებას სქემაში მუშაობისათვის. მიღებულია

გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიზანშეწონილია სამედიცინო პერსონალის წახალისების დიფერენცირებული სისტემის არსებობა. აქედან გამომდინარე, ამჟამად სქემაში ჩართული ექიმები და ექთნები წამახალისებელ ანაზღაურებას იღებენ აწეული მუშაობის და სქემაში გაწევრიანებულთა რაოდენობის მიხედვით.

სქემაში სამედიცინო პერსონალის დაქირავების წინაპირობაა მათი ჩართულობა სახელმწიფო პროგრამაში. კერძოდ ისინი ხელფასს უნდა იღებდნენ სახელმწიფოსგან სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის. სქემაში თემის წარმომადგენელთა (ახალი ოჯახების) გაწევრიანებასთან ერთად პროცენტულად იზრდება სამედიცინო პერსონალის ანაზღაურებაც.

ინფორმაციის მიწოდება

სქემის ნებისმიერ წევრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სოფლის სამედიცინო პუნქტის ექიმისაგან როგორც ჯსდ სქემის, აგრეთვე დაავადებულთა პრევენციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ღონისძიებების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში გაწევრიანებულ მოსახლეობას შეუძლია მიმართოს თავისი სოფლის ამბულატორიას (ან იძულებით ადგილნაცვალ პირთა სამედიცინო პუნქტს); ასევე ბათუმში ქ-ნ მანანა ინაიშვილს (ბარათაშვილის 24, "სთეფ-ფორვარდი", ტელ: 8-88222-75547), ხოლო ზუგდიდში ქ-ნ ციცო ლომაიას ("თემის მხარდაჭერის ცენტრი", ჭყონდიდელის 41, ტელ: 8-215-50208).

შეღვათიები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის

სოფლის (თემის) თანხმობით, სოფლის სოციალურად ყველაზე დაუცველი ოჯახები (საშუალოდ ყოველი მეათე) სქემაში წევრიანდებიან უსასყიდლოდ, შესატანის გადახდის გარეშე. აღნიშნული უმწეო ოჯახების შერჩევა მოხდება კონკრეტული თემის წარმომადგენლებისა და სქემის მართვაში მონაწილე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოსახურების საფუძველზე, "ველფეარ ფაუნდემენტის" მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტული ოჯახის სქემაში უფასოდ გაწევრიანებისათვის აუცილებელია სოფლის მოსახლეობის თანხმობა.

დამატებითი სარგებელი

"ოქსფამის" მიერ სქემის დოქტორული დაფინანსების განმავლობაში სოფლის (თემის) მოსახლეობას პერიოდულად ჩაუტარდება მასობრივი პროფილაქტიკური გასინჯვები. ამ მიზნით თბილისიდან მოწვეულ იქნება ექიმ-სპეციალისტთა მრავალ-პროფილური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან კარდიოლოგი, ნერვოპათოლოგი, ექსკოპისტი, უროლოგი, გინეკოლოგი, ენდოკრინოლოგი და ოკულისტი. დამატებით, დასმული დიაგნოზის შესაბამისად, სქემის წევრებს დაურიგდებათ სქემის ჩამონათვალში შემავალი მედიკამენტები.

სქემის ადმინისტრაცია და მართვის საინფორმაციო სისტემა

მოსახლეობის მიერ შესატანების სახით შეგროვილი თანხა ხელუხლებლად ინახება სპეციალურ საბანკო ანგარიშზე. ამ თანხის ხარჯვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც "ოქსფამი" შეწყვეტს პროექტის დაფინანსებას.

ადგილებზე სქემის მართვაზე პასუხისმგებელია "თემის მხარდაჭერის ცენტრი" და "სთეფ ფორვარდი". პროცესს ზედამხედველობას უწევს "ველფეარ ფაუნდემენტის" და "ოქსფამი". სქემის ადმინისტრაციის მოვალეობაა შენატანების შეგროვება, სამედიცინო მომსახურების და მისი მონმარების შეფასება, მოსახლეობის ინფორმირება სქემის ფუნქციონირების შესახებ. მიმდინარეობს მუშაობა სქემის მართვის მექანიზმების დახვეწაზე. ამჟამად ადმინისტრაციული ხარჯები მთლიანად იფარება დონორის მიერ.

"ველფეარ ფაუნდემენტის" ექსპერტებმა სქემის მენეჯმენტის ს რულოფისათვის შეიმუშავეს მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემა კომპიუტერის საშუალებით იმართება და პრაქტიკულად დაინერგა სქემის ამოქმედებასთან ერთად. სისტემა სქემის საზედამხედველო კომისიას და ადმინისტრაციას აძლევს საშუალებას, შეამოწმოს ყოველი ფინანსური ოპერაცია: გადარიცხვა, შესატანები, გაწევრიანება, გასვლა სქემიდან, მედიკამენტების მონმარება, სამედიცინო მომსახურების ინტენსივობა და ხარისხი.

ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფისათვის ტარდება შემდეგი ღონისძიებები:

- ხდება სამედიცინო პუნქტების გარემონტება და აღჭურვა;
- სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება;

- წარმოებს სამედიცინო პერსონალის შერევა;
- მოწმდება დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის ინდივიდუალური შემთხვევები;
- წარმოებს გაწეული მომსახურების ანალიზი;
- ფინანსდება სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლება;
- სამედიცინო მომსახურება ხორციელდება სტანდარტული სამკურნალო სქემების გამოყენებით;
- დონორი ორგანიზაცია აკონტროლებს მ ედიკამენტების ფექტურ შესყიდვას და განაწილებას.

სქემის უსაფრთხოება და გამჭვირვალობა

შეგროვილი თანხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სქემის მუშაობის გამჭვირვალობის მიზნით, “ველფეარ ფაუნდემენტის” რეკომენდაციით რეგიონებში იქნება დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო (მაგ. სათემო საბჭო), რომელიც სქემის მართვას განახორციელებს “ოქსფამის” დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ. სათემო საბჭოს წევრები იქნებიან სოფლის სამედიცინო საბჭოს მუშაკები, ჯანდაცვის ადგილობრივი განყოფილებისა და თემის წარმომადგენლები. ასოციაციის საზედამხებელო საბჭოს წევრები უნდა იყვნენ “ველფეარ ფაუნდემენტის”, ადგილობრივი საზოგადოების, “სთეფ ფორვარდის” და “თემის მხარდაჭერის ცენტრის” წარმომადგენლები. სათემო საბჭოში იმუშავენ მენეჯმენტის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სქემის მართვაზე.

დანართი:

ამჟამად ჯანდაცვის სათემო დაფინანსების მოდელი ხორციელდება შემდეგ დასახლებულ პუნქტებში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა:

ხულოს რაიონი:

დიდაჭარა
 ზემო ვაშლოვანი
 ლურჯა
 დეკანაშვილები
 ძირკვაძეები

ქედის რაიონი:

ორცვა
 ოქტომბერი
 დოლოვანი

შუახევი

ნიგაზეული
 გიგინაური

ფუზღიდის რაიონი

დიდი ნეძი
 აბასთუმანი
 კორცხელი
 ნაცატუ
 გრიგოლიში
 ჯინაშკარი
 ახალსოფელი
 ოქტომბერი
 ორულუ
 ყულიშკარი
 ჭკადუაში
 ჩხორია
 ტყაია
 ონარია

რუსი
ნარაზენი
ცაიში
ოდიში
ახალი აბასთუმანი
კახათი
ახალი კახათი
ზედა ეწერი
ინგირი
ენგურქალაღკომბინატის დევნილთა დასახლება
ფაიფურის დევნილთა დასახლება
ვექტორის დევნილთა დასახლება
პროფტექნიკურის დევნილთა დასახლება

მომზადებულია “ოქსფამ“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის
“ჯანდაცვის სათემო დაფინანსება საქართველოში”
ფარგლებში

ველფეარ ფაუნდემენი
ჭავჭავაძის გამზირი, 33ა თბილისი 0179
ტელეფონი/ფაქსი: 822-912699
ელ.ფოსტა: wf@welfarefoundetion.org.ge
ვებ-ვერდი: www.welfarefoundetion.org.ge

“სთეფ ფორვარდი”, ბათუმი, ბარათაშვილის 24, ტელ: 8-88222-75547
“თემის მხარდაჭერის ცენტრი”, ზუგდიდი, ჭყონდიდელის 41, ტელ: 8-215-50208